ვიდეო ზარის მეშვეობით მისაღები მომსახურების სახეები

ვიდეო ზარის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ შემდეგი მომსახურება:

- შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის აქტივაცია;
- ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის ცვლილება და პაროლის აღდგენა;
- საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია.

გაითვალისწინეთ

- მომსახურების მიღების მიზნით საჭიროა გიფიქსირდებოდეთ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ვადიანი/მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუცილებელია, რომ ვებ - გვერდს მისცეთ უფლება გამოიყენოს თქვენი კამერა და მიკროფონი.

მომსახურების მიღება საკუთარი ან ორგანიზაციის სახელით

აირჩიეთ ღილაკი „საკუთარი ან ორგანიზაციის სახელით“, თუ მომსახურების მიღება გსურთ:

- თქვენი, როგორც ფიზიკური პირის სახელით;
- საწარმო/ორგანიზაციის სახელით და ხართ შესაბამისი მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი ხელმძღვანელი (დირექტორი).



- შეავსეთ ყველა „* “ მონიშნული ველი;
- თუ გსურთ მომსახურების მიღება საწარმო/ორგანიზაციის სახელით, შეავსეთ ველი „საიდენტიფიკაციო ნომერი“;
- მომსახურების მიღების მიზნით საჭიროა განაცხადოთ თანხმობა ვიდეო ზარის ჩაწერის განხორციელებაზე. ამისათვის მონიშნეთ შესაბამისი გრაფა;
- დააწექით ღილაკს „ოპერატორთან დაკავშირება“.

მომსახურების მიღება მინდობილი პირის მეშვეობით

აირჩიეთ ღილაკი „მინდობილი პირის მეშვეობით“, თუ თქვენ ხართ ფიზიკური პირის ან საწარმო/ორგანიზაციის შესაბამისი მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი ხელმძღვანელის მინდობილი პირი.

გაითვალისწინეთ, მომსახურების მიღება შესაძლებელია თუ გაცემულია ნოტარიულად დამოწმებული, ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი (დოკუმენტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში), რომელიც ატვირთულია სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში. ვიდეო ზარის განხორციელების დროს აღნიშნული დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტები უნდა უკარნახოთ ოპერატორს. საწარმო/ორგანიზაციის შემთხვევაში ასევე შესაძლებელია მომსახურების მიღება საწარმოს/ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, რომელიც ატვირთული უნდა იყოს შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე.

შეავსეთ ყველა „* “ მონიშნული ველი

- „ნდობით აღჭურვილი პირი“-ს ველში შეიყვანეთ თქვენი მონაცემები;
- „მინდობილობის გამცემი“-ს ველში შეიყვანეთ მინდობილობის გამცემის პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი;
- მომსახურების მიღების მიზნით საჭიროა განაცხადოთ თანხმობა ვიდეო ზარის ჩაწერის განხორციელებაზე. ამისათვის მონიშნეთ შესაბამისი გრაფა;
- დააწექით ღილაკს „ოპერატორთან დაკავშირება“.